ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 180

ქალაქი ქუთაისი 29 მარტი 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბაღისკიდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მეოთხე და მეხუთე პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 21 მარტის №44-442308227 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბაღისკიდისათვის“ (საიდენტიფიკაციო №212835716) პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №8/ფალიაშვილის ქუჩა №2-ში არსებული №03.03.01.259.01.518 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე განთავსებული 1020.55 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან, იზოლირებული ფართების (18.04 კვ.მ. და 13.82 კვ.მ.) გადაცემის თაობაზე, 5 (ხუთი) წლის ვადით, მათ შორის 2 (ორი) წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო 3 (სამი) წლით – სასყიდლიანი უზუფრუქტის ფორმით.

მუხლი 2. ხელშეკრულების გაფორმებისა და უსასყიდლო უზუფრუქტის ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე ქონების წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
მას. № 21
30 03 2023 წ.

მუხლი 3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბაღისკიდის“ (საიდენტიფიკაციო №212835716) მიერ, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა, უზრუნველყოს უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია